

დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის N04-46

(14. 05.2019) ბრძანებით დანართი N1

ცვლილება- 04-124 29/10/2021



სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის

საკვალიფიკაციო და შუალედური გამოცდის ჩატარების წესი დუალური მიდგმით განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

ქ. მცხეთა

2019 წელი

## **მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

- 1.1 წინამდებარე წესი შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტებისა და პროფესიის სტანდარტების საფუძველზე.
- 1.2 წინამდებარე წესის მიზანია დუალური მიდგომით განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭების პროცედურებისა და პირობების განსაზღვრა.

## **მუხლი 2. საკვალიფიკაციო გამოცდა**

- 2.1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დუალური მიდგომით განხორციელების შემთხვევაში კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.
- 2.2 საკვალიფიკაციო გამოცდის თემატიკა ეყრდნობა კოლეჯის მიერ შემუშავებულ შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და არ სცილდება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. ამასთანავე, გამოცდის თემატიკა ეყრდნობა შესაბამის პროფესიის სტანდარტს/სტანდარტებს ან/და შეფასების სტანდარტს/სტანდარტებს ან/და პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს ან/და “WORLD SKILLS” სტანდარტების მახასიათებლებს.
- 2.3 გამოცდის თემატიკა მოიცავს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული და/ან თეორიული სწავლის შედეგის/შედეგების მიღწევის დადასტურებას/დემონსტრირებას.
- 2.4 საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა, სასწავლო საწარმოში მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურებული პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების რეგული (ჟურნალი)/პორტფოლიო, შუალედური გამოცდაში მონაწილეობა.

### **მუხლი 2.1 შუალედური გამოცდა და ჩანაწერების რეგული (ჟურნალი)/პორტფოლიო**

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დუალური მიდგომით განხორციელების შემთხვევაში კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა შუალედური საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება და ჩანაწერების რეგული (ჟურნალი)/პორტფოლიო.
2. შუალედური გამოცდა ტარდება პროგრამის განხორციელების შუა პერიოდის შემდეგ.
3. გამოცდის თემატიკა მოიცავს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული და/ან თეორიული სწავლის შედეგის/შედეგების მიღწევის დადასტურებას/დემონსტრირებას, რომელიც მიღწეულია შუალედური საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების თარიღამდე.
4. შუალედურ გამოცდაზე მიღებული უარყოფითი შეფასება გავლენას არ ახდენს საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვებაზე.
5. კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ - ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით მტკიცდება შუალედური საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის შემადგენლობა. შუალედური გამოცდის კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ სამი წევრისაგან. წევრები შესაძლოა იყვნენ:
  - ა) შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ან/და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული მასწავლებელი;
  - ბ) პარტნიორი საწარმოს წარმომადგენელი ან/და შესაბამისი პროგრამის განხორციელებაში ჩართული ინსტრუქტორი;
  - გ) შესაბამისი მიმართულების პროფესიული ასოციაციის ან/და დამსაქმებლის წარმომადგენელი/წარმომადგენლები;

დ)საჭიროების შემთხვევაში, იმ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამის დარგში კვალიფიკაციის მქონე წარმომადგენელი, რომელიც ახორციელებს მსგავსი მიმართულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

ე) საჭიროების შემთხვევაში, სხვა საჯარო ან კერძო დაწესებულების წარმომადგენელი.

ვ) საჭიროების შემთხვევაში კოლეჯის წარმომადგენელი

6. თუ სტუდენტი ვერ გამოვა შუალედურ გამოცდაზე, მას ეძლევა საშუალება გამოვიდეს გამოცდაზე პროგრამის დასრულებამდე.
7. შესაფასებელ პირს 14 კალენდარული დღით ადრე მიეწოდება წერილობითი ან/და ზეპირსიტყვიერი ფორმით ინფორმაცია გამოცდის ჩატარების დროისა და ადგილის, ასევე გამოცდის ჩატარების სამართლებრივ და საორგანიზაციო საკითხების შესახებ.
8. საკვალიფიკაციო გამოცდა შესაძლებელია ჩატარდეს თეორიული, პრაქტიკული ან/და თეორიულ-პრაქტიკული გამოცდის სახით. საკვალიფიკაციო გამოცდა შესაძლებელია ჩატარდეს კოლეჯის ტერიტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ (სასწავლო საწარმოში).
9. ჩანაწერების რვეული (ჟურნალი)/პორტფოლიო წარმოადგენს სტუდენტისათვის სწავლის დაწყებამდე გადაცემულ დოკუმენტს, რომელშიც დუალური პროგრამის პროფესიული სტუდენტი საწარმოში ვიზიტის დროს ავსებს ინფორმაციას გავლილი პრაქტიკის შესახებ.
10. სტუდენტის მიერ შევსებული ჩანაწერების რვეული (ჟურნალი)/პორტფოლიო წარმოადგენს შუალედურ და საბოლოო საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობას.

### **მუხლი 3. საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისია**

3.1 კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ - ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით მტკიცდება საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის შემადგენლობა.

3.2 საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ:

- ა) პარტნიორი საწარმოს წარმომადგენელი ან/და შესაბამისი პროგრამის განხორციელებაში ჩართული ინსტრუქტორი;
- ბ) შესაბამისი მიმართულების პროფესიული ასოციაციის ან/და დამსაქმებლის წარმომადგენელი/წარმომადგენლები;
- გ)საჭიროების შემთხვევაში, იმ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამის დარგში კვალიფიკაციის მქონე წარმომადგენელი, რომელიც ახორციელებს მსგავსი მიმართულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;
- დ) საჭიროების შემთხვევაში, სხვა საჯარო ან კერძო დაწესებულების წარმომადგენელი.

3.3 საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისია გადაწყვეტილება უნარიანია თუ საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრები, რომლებიც არ იყვნენ ჩართულნი შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში, წარმოადგენენ უმრავლესობას.

3.4 საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისია უნდა შედგებოდეს მინიმუმ არანაკლებ 3 წევრისაგან.

3.5 საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისია გადაწყვეტილების მიღებისუნარიანია, თუ მას ესწრება საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრთა არანაკლებ  $\frac{3}{4}$ -ისა.

3.6 საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიას ჰყავს თავმჯდომარე, რომელსაც, ხმათა უმრავლესობით, ირჩევენ საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრები.

- 3.7 საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისია, კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. კომისიის წევრთა ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტი ხმის უფლება ენიჭება კომისიის თავმჯდომარეს.
- 3.8 საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის ფუნქციებია:
- ა) საგამოცდო საკითხების შემუშავება;
  - გ) განმეორებითი გამოცდის საკითხების შემუშავება;
  - დ) კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

#### **მუხლი 4. გამოცდისათვის მომზადება**

- 4.1 კოლეჯს უფლება აქვს გააფორმოს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, რომელიც ახორციელებს შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ითანამშრომლოს საკვალიფიკაციო გამოცდის მოსამზადებლად.
- 4.2 კონკრეტული პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, საგამოცდო საკითხებს შეიმუშავებს საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისია.
- 4.3 კოლეჯის ადმინისტრაცია ვალდებულია მხარი დაუჭიროს საკვალიფიკაციო გამოცდის ორგანიზებასა და ჩატარებას.
- 4.4 საგამოცდო საკითხები, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, იქმნება ამ წესის დანართი N1-ის შესაბამისად.
- 4.5 საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის მიერ პროფესიული სტუდენტის შეფასების ფორმა უნდა შეიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:
- ა) დავალების შინაარსი;
  - ბ) დავალების შესრულების დრო და ადგილი;
  - გ) შეფასების კრიტერიუმები;
- 4.6 საგამოცდო საკითხები ცნობილია მხოლოდ საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრებისათვის და აღნიშნული წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას, გამოცდის საკითხების შემუშავებიდან გამოცდის დასრულებამდე.
- 4.7 შესაფასებელ პირს 14 კალენდარული დღით ადრე მიეწოდება წერილობითი ან/და ზეპირსიტყვიერი ფორმით ინფორმაცია გამოცდის ჩატარების დროისა და ადგილის, ასევე გამოცდის ჩატარების სამართლებრივ და საორგანიზაციო საკითხების შესახებ.

#### **მუხლი 5. გამოცდის ჩატარება**

- 5.1 საკვალიფიკაციო გამოცდა შესაძლებელია ჩატარდეს თეორიული, პრაქტიკული ან/და თეორიულ-პრაქტიკული გამოცდის სახით.
- 5.2 საკვალიფიკაციო გამოცდა შესაძლებელია ჩატარდეს კოლეჯის ტერიტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ (სასწავლო საწარმოში).
- 5.3 საკვალიფიკაციო გამოცდის მსვლელობისას შესაძლებელია განხორციელდეს ფოტო გადაღება ან/და აუდიო ან/და ვიდეო ჩაწერა;
- 5.4 საკვალიფიკაციო გამოცდას ესწრებიან შესაბამისი ინდივიდუალურ - ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით განსაზღვრული საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრები

- 5.5 საკვალიფიკაციო გამოცდაზე გამოცხადების შეუძლებლობის შემთხვევაში, საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრი, რომელიც ვერ ცხადდება გამოცდაზე, მინიმუმ ერთი სამუშაო დღით ადრე, ატყობინებს კოლეჯის ადმინისტრაციას, რის შემდეგაც გამოიცემა ახალი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი, საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის შემადგენლობის ცვლილების შესახებ.
- 5.6 საჭიროების შემთხვევაში, გამოცდას ესწრებიან ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროცესის ფოტო და/ან ვიდეო გადაღებას, ასევე, საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის ოქმის მომზადებას.
- 5.7 საკვალიფიკაციო გამოცდას დამკვირვებლების სახით შეაძლოა ესწრებოდგენენ კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლები ან/და სხვა პირები
- 5.8 საკვალიფიკაციო გამოცდის მსვლელობისას დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის ყველა დამსწრე წევრი. საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრის განსხვავებული აზრი დაერთვება ოქმს, დანართის სახით.

## მუხლი 6. აპელაცია

- 6.1 საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები წერილობითი ან/და ზეპირსიტყვიერად სტუდენტს ეცნობება გამოცდის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა.
- 6.2 სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს გამოცდის შედეგები მათი გაცნობიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, რისთვისაც განცხადებით უნდა მიმართოს კოლეჯის ადმინისტრაციას.
- 6.3 სტუდენტი ვალდებულია განცხადებაში მიუთითოს საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების რომელ ნაწილს არ ეთანხმება.
- 6.4 კოლეჯის ადმინისტრაცია განიხილავს სტუდენტის განცხადების ფორმალურ შესაბამისობას, კანონით დადგენილ მოთხოვნებთან და განცხადების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით ამტკიცებს სააპელაციო საბჭოს შემადგენლობას.
- 6.5 სააპელაციო საბჭო შედგება:
- ა) კოლეჯის იურისტი;
  - ბ) შესაბამისი დარგის სპეციალისტი;
  - გ) პროფესიული ასოციაციის წარმომადგენელი ან დამსაქმებელი;
- 6.6 სააპელაციო საბჭო უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, მოიწვიოს საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრი /წევრები, მომჩივანი მხარე და მოისმინოს მათი ახსნა-განმარტება.
- 6.7 სააპელაციო საბჭოს ფუნქციებია:
- ა) შეამოწმოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება, კანონიერებისა და მიზანშეწონილობის თვალსაზრისით.
  - ბ) გამოიკვლიოს და შეისწავლოს საქმისთვის მნიშვნელოვანი ყველა გარემოება;
- 6.8 სააპელაციო საბჭო, ხმათა უმრავლესობით, იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:
- ა) საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილების გაზიარების შესახებ;
  - ბ) საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიისთვის გადაწყვეტილების ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

- 6.9 დაუშვებელია სააკელაციო საბჭოს შემადგენლობაში შედიოდეს საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრი.
- 6.10 სააკელაციო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ამავე მუხლის 6.4 პუნქტით განსაზღვრული ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.
- 6.11 საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისია განმეორებით განიხილავს სააკელაციო საბჭოს მიერ მისთვის დაბრუნებლ გადაწყვეტილებას და, სათანადო დასაბუთებით, ცვლის ან უცვლელად ტოვებს მის მიერ მიღებულ თავდაპირველ გადაწყვეტილებას.

### **მუხლი 7. განმეორებითი გამოცდა**

- 7.1 საკვალიფიკაციო გამოცდაზე გაუცხადებლობის ან არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შეთხვევაში, სტუდენტს უფლება აქვს, გამოცდის შედეგების გაცნობიდან ერთი წლის განმავლობაში, განმეორებით გავიდეს გამოცდაზე, რისთვისაც განცხადებით უნდა მიმართოს კოლეჯის ადმინისტრაციას.
- 7.2 განმეორებითი საკვალიფიკაციო გამოცდისათვის იქმნება განახლებული საგამოცდო საკითხები.
- 7.3 ამავე მუხლის 7.1 პუნქტით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობა თითოეულ სტუდენტს შეუძლია მხოლოდ ერთჯერადად.

### **მუხლი 8. მტკიცებულებები**

- 8.1 საკვალიფიკაციო გამოცდის მიმდინარეობისას, პროფესიული სტუდენტის მიერ შექმნილი წერილობითი ნამუშევარი შესრულებული ნაწარმი/ პროექტი და ნებისმიერი სახის მატერიალურად შექმნილი პროდუქტი, რომელიც ექვემდებარება შენახვას, ასევე პროფესიული სტუდენტის მიერ დავალების შესრულების ამსახველი ფოტო, აუდიო/ვიდეო მასალა წარმოადგენს მტკიცებულებას და ინახება კოლეჯში ექვსი წლის განმავლობაში.

### **მუხლი 9. დასკვნითი დებულებანი**

- 9.1 წინამდებარე წესში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით.







საკითხი 3 დადასტურდა	ა. დიახ ბ. არა	ა. დიახ ბ. არა	ა. დიახ ბ. არა	ა. დიახ ბ. არა	ა. დიახ ბ. არა	ა. დიახ ბ. არა	ა. დიახ ბ. არა	ა. დიახ ბ. არა	ა. დიახ ბ. არა	ა. დიახ ბ. არა
გამოცდა ჩაითვალა ჩაბარებულად	ა. დიახ ბ. არა	ა. დიახ ბ. არა	ა. დიახ ბ. არა	ა. დიახ ბ. არა	ა. დიახ ბ. არა	ა. დიახ ბ. არა	ა. დიახ ბ. არა	ა. დიახ ბ. არა	ა. დიახ ბ. არა	ა. დიახ ბ. არა

კომისიის თავმჯდომარე: /სახელი, გვარი/

კომისიის წევრები: /სახელი, გვარი/